# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 215. კვირა, 2 მაისი 1904 წ. გაზეთის № 2484.


### ტყე გმინავს!

ტყე გმინავს... ფოთოლს ფოთოლი
ცრემლებს უგზავნის ცურვითა;
ტყე გმინავს, ტყე ეგებება
ქარიშხალს სიხარულითა.

—

ცა იცრემლება, მედგარი
მთას დასცემია წვეროზე;
გაბრაზებულა ვეშაპი,
დვართქაფსა ჰგზავნის მდელოზე.

—

ნისლიც იღვიძებს, ხევიდან
ქედისკენ მიიზლაზნება;
აქ კლდეს გადუვლის ფრიალოს,
იქით კორდს მიესალმება.

—

მობუდულია ფიქრებით
გულიც მწარ-კაეშნიანი;
მიჭქრის და მოჭქრის ოცნება
შავი, შავ ყორნის ფრთიანი.

—

ამაოდ... სხივი არა სჩანს,
ამაოდ გავიყურები:
ნუ თუ ვერ ვნახავ სატრფოსა
და ცრემლად დავისურები?!

—

ტყე გმინავს... ფოთოლს ფოთოლი
ცრემლებს უგზავნის ცურვითა;
ტყე გმინავს, ტყე ეგებება
ქარიშხალს სიყვარულითა.

ი. ევდოშვილი

*
* *

დე, თვალებმა ისაუბრონ,
არ გაბედო, ტურფავ, სიტყვა,
მეშინიან გავიგონო,
რაც რო გულში ჩუმად ითქვა!

—

დე, ტალღებმა ისაუბრონ,
გადიტანონ ზვირთი ზვირთმა,
ზღვა დაბურონ, ტურფავ, ნისლმა,
და გული კი ფიქრმა... ფიქრმა ..

ი. ევდოშვილი.

## გზაში

ან. ჩეხოვისა

ოქროს ფერ ღრუბელს პიცალო
კლდის გულზე მისძინებოდა..
ლერმონტოვი

ოთახში, რომელსაც თვითონ დუქნის პატრონი, ყაზახი სიმონ ჩისტოპლიოვი [illegible] იგი, რომელიც განსაკუთრებით მგზავრთათვის იყო დანიშნული, დიდ და შეუღებავ მაგიდასთან მაღალი, განიერ მხარ-ბეჭიანი და ასე ორმოცის წლის კაცი იჯდა. მაგიდაზე ნიდაყვი დაეყრდნო, მუშტზე თავი მიედო და ეძინა. პომადის კოლოფში ჩარჭობილი ქონის სანთელი იმის ქერა წვერს, მსხვილ, განიერ ცხვირს, მზე მოკიდებულ ლოყებსა და დახუჭულ თვალებზე ჩამოშვებულ ხშირსა და შავ წარბებს ანათებდა. ცხვირიც, ლოყებიცა და წარბებიც—ყველა და თვითეულად ცალკე ასო ისევე ტლანქი და ულაზ თო იყო, როგორც „გამვლელების“ ოთახის მოწყობილობა და ფეჩი, მაგრამ საზოგადოდ რაღაც ჰარმონიულსა და თითქმის ლამაზ პირისახეს შეადგენდნენ. ასეთია რუსის პირისახე: რაც უფრო მსხვილად და გარკვევით არის მოხაზული იმისი პირისახე, იმდენად უფრო მიმზიდველი და გულკეთილი კაცის გამომეტყველება აქვს. ამ კაცს ეცვა ბატონის პიჯაკი, უკვე მოცვეთილი, მაგრამ ახალი და განიერ ზონარით გარშემოვლებული, პლიუშის ჟილეტი და დიდ ჩექმებში ჩაშვებული შავი, განიერი შარვალი. ერთ-ერთ სკამზე, რომელიც მთელ კედლის გაყოლებაზე იდგა, მელის ტყავიან ქურქზე რვა წლის ქალს ეძინა. მიხაკის ფერი კაბა და გრძელი, შავი ჩულქები ეცვა. პირის ფერი მკრთალი ჰქონდა, თმა ქერა, მოთეთრო, ვიწრო გულმკერდი, მთელი ტანი გამხდარი და დალეული, მაგრამ ისეთივე სქელი, ულამაზო და ბურთის მაგვარი ცხვირი ჰქონდა, როგორც მამაკაცს. მაგრა ეძინა და არა ჰგრძნობდა, რომ მომრგვალო სავარცხელი თავიდან ჩამოჰვარდნოდა და ლოყას უხეხავდა. „გამვლელების“ ოთახს სადღესასწაულო ელფერი ედო. ჰაერში ახლად გარეცხილ იატაკის სუნი იდგა, ერთ კუთხიდან მეორე კუთხემდის გაბმულ თოკზე, წინაალმდეგ ჩვეულებრივ მოვლენისა ჩვრები არ ეკიდა და კუთხეში, მაგიდის ზევით, ლამპარი ენთო, რომელიც წმინდა ძლევამოსილ გიორგის ხატს წითელ ჩრდილსა სდებდა. ღვთისნიერობიდან საამქვეყნოზე გადმოსვლა მტკიცე და ფრთხილის თანდათანობით იყო დაცული: ხატიდან კედლის ორივე მხარეს მრავალი, განსაკუთრებით მდაბიო ხალხისათვის გაკეთებული, უბრალო სურათები ეკიდა. სანთლის სუსტი ნათელითა და წითელ ლამპრით განათებული სურათები გაერთიანებულსა და შავ წერტილებით დაფარულ ზოლს წარმოადგენდნენ; როცა ფეჩი ბუნებასა და დართან ერთად მღერას სცდილობდა და გუგუნით ჰაერს ისუნთქავდა, როცა დროგამოშვებით თითქოს გაღვიძებული მუგუზლები ალის ენებს ჰყოფდნენ და გაჯავრებით ბუზღუნებდნენ, ამ დროს ხის კედლეპზედაც ალმულისებური წერტილები დახტოდნენ და ჩანდა, რომ მძინარე კაცის ზევით, თავის ასწვრივ იხატებოდა ხან ბერი სერაფიმე, ხან ნასრედინ შაჰი და ხანაც მიხაკის ფერი, მსუქანი ბავშვი, რომელიც თვალებს აბრიალებდა და მკვახე, გულ გრილობით მოცულ სახიან ქალს რაღაცას ჩასჩურჩულებდა. გარეთ ავდარი გრიალებდა. გაცოფებული, კაპასი, მაგრამ თითქო დიდად უბედური ქარი ტრაქტირის გარშემო გააფთრებულ მხეცივით დახტოდა, შინ შემოსვლას ცდილობდა, კარებს აბრახუნებდა, ფანჯრებსა და ჭერს აკაკუნებდა, კედლებს ჰკაწრავდა, ხან იმუქრებოდა, ხან იხვეწებოდა, ხან ცოტა ხნით მიყუჩდებოდა, მაგრამ მერე ისევ გახარებულისა და ღალატურის ყმუილით ფეჩის საბოლეში დასრიალებდა. ამ დროს მუგუზლები ალს უშვებდნენ, გაბრაზებული ცეცხლი ავი ძაღლივით მტრი-

ლი და გაბრაზებული გრგვინვა მოსდევდა. ყველა ამაში ისმოდა გაკაპასებული ვარამი, დაუკმაყოფილებელი სიძულვილი და იმის შეურაცხყოფილი უღონობა, ვინც ერთ დროს



კავკასიელი მექანდაკენი. შუშელი სოლეხი.
ქანდაკება მიქაელიანისა.

გამარჯვებას იყო ჩვეული. ამ ველურისა და არაკაცურ მუსიკით გატაცებული „გამვლელთა" ოთახი თითქოს საუკუნოდ გაშრა, გაქვავდა. მაგრამ აი, კარებმა დაიჭრიალა და ოთახში ჩითის ახალ ხალათში გამოწყობილი, ტრაქტირის ბიჭი შემოვიდა. კოჭლობითა და ნამძინარე თვალების ბლეტით სანთელი გაასწორა, ფეჩს შეშა შეუკეთა და ისევ გავიდა. იმავე დროს ეკლესიაში, რომელიც რაგაჩაში ტრაქტირიდან სამას ნაბიჯის მანძილზეა, შუაღამე დაჰრეკეს. ქარი ზარის წკარუნსაც ისე ათამაშებდა, როგორც თოვლს; ზარის ზოგ ხმას უკან მისდევდა, უშველებელ სივრცეში ატრიალებდა, ზოგი ხმა უცებ სწყდებოდა, ზოგი ხანგრძლივსა და ტალღის მაგვარ ხმად მიჰზუზუნებოდა, ზოგი კი ამ საზოგადო გუგუნში სრულიად იკარგებოდა. ზარის ერთი ჩამოკვრა ოთახში ისე ნათლად და მკაფიოდ მოისმა, თითქოს იქვე, ფანჯრების უკან დარეკესო. მელის ტყავიან ქურქზე მწოლარე ქალი შეჰკრთა და წამოიწია. ჯერ ერთ წუთს უაზროდ უყურებდა ბნელ ფანჯარასა და ნასრ-ედინ შაჰის სურათს, რომელზედაც ამ დროს ცეცხლის წითელი ნათელი დასთრთოდა, მერე მძინარე კაცს გადაჰხედა და წაიჩურჩულა:

კაცი არ გაინძრა. ქალმა წარბები შეიჭმუხნა, მიწვა და მოიბლუნძა. ცოტა ხნის შემდეგ კარმა დაიჭრიჭინა და ვიღაცეების გაურკვეველი ხმები მოისმა. ვიღაც შემოვიდა, თოვლი დაიბღერტა და რბილ, საზამთრო ჩექმებით იატაკზე ბლარტუნი დაიწყო.

— რაო?—ზარმაცის ხმით იკითხა ვიღაც ქალმა.

— ქალბატონი ილოვაისკაია მობრძანდა...—მიუგო ვიღაცამ ბოხის ხმით. კარებმა ხელმეორედ დაიჭრაჭუნა. ოთახში შემოჭრილ ქარის გრიალი მოისმა. კოჭლმა ბიჭმა „გამვლელთა" ოთახის კარებთან მოირბინა, მოკრძალებით ჩაახველა და ურდულს ხელი წაავლო.

— აქეთ მობრძანდით, ქალბატონო, აქეთ,—სთქვა გაგრძელებით ქალმა:—ეს წმინდა ოთახია, ჩემო ლამაზო. კარი გაიღო და დირეზე თავიდან ფეხებამდე თოვლით აგლესილი და გძელ-წვერიანი გლეხი გამოჩნდა. მეეტლეს ტანისამოსი ეცვა და მხარზე დიდი ჩემოდანი ჰქონდა. იმას მოჰყვა დაბალი, მეეტლეზე თითქმის ორჯელ უფრო მოკლე ქალი, რომელსაც პირისახე და ხელები არ უჩანდა, შეხვეული, შეკრული იყო, სავსე ბოხჩასა, ჰგვანდა და თოვლში იყო ამოვლებულ, პატარა ქალს მეეტლისა და ბოხჩისაგან შემოტანილი სინესტე ეცა. სანთელმა ციმციმი დაიწყო.

— რა სისულელეა!—გაჯავრებით სთქვა ბოხჩამ,—მშვენივრად შეიძლება წასვლა! გასავლელი მხოლოდ თორმეტი ვერსიღა დაგვრჩა, ისიც თითქმის ტყით. გზას არ დავკარგავდით.

— გზას კი არ დავკარგავდით, ქალბატონო, მაგრამ ცხენები რომ არ მიდიან! ღმერთო, შენ დამიფარე, თითქოს განგებ ვშვრებოდეო!—მიუგო მეეტლემ.

— ღმერთმა იცის, სად მომიყვანე... ჩუმად, აქ, მგონი, სძინავთ. გადი აქედან...

მეეტლემ ჩემოდანი იატაკზე დაუშვა, მხრებიდან თოვლი ჩამოიყარა, ცხვირიდან ქვითინის მაგვარი ხმა გამოუშვა და



იაპონელი ჯარის-კაცი დარაჯად.

გავიდა. ამის შემდეგ პატარა ქალმა დაინახა, რომ ბოხჩის შუა



ბრძოლის ველზე.—სურ. აოვბაუერგისა.

აიწიეს და წამოსასხამებისა, ყელსახვევებისა და ხელცახოცე-ბის ნასკვებს გაჯავრებით ხსნა დაუწყეს. იატაკზე ჯერ დიდი წამოსასხამი დაეცა, შემდეგ ყაბალახი, რომელსაც თეთრი, მოქსოვილი ხელცახოცი მოჰყვა. თავი რომ გაინთავისუფლა, დიდი წამოსასხამი გაიხადა და ამის შემდეგ ნახევრად დავიწ-როვდა. ეხლა იმას გრძელი, რუხის ფერი, დიდ-ღილებიანი და გამობერილ-ჯიბეებიანი პალტო ეცვა. ერთ ჯიბიდან ქა-ღალდში გახვეული რაღაცა ამოიღო, მეორე ჯიბიდან მთელი ხროვა დიდი, მძიმე და შეკრული გასაღებებისა, რომელიც მაგიდაზე ისეთის ხმაურობით დასდო, რომ კაცი შეკრთა და თვალები გაახილა. კაცი ჯერ რამდენიმე ხანს უაზროდ აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს არ ესმოდა, სად იყო, შემდეგ თავი გაიქნ-გამოიქნია, კუთხისაკენ წავიდა და იქ დაჯდა. ახლად მოსულმა ქალმა პალტო გაიხადა, რის გამოც კიდევ ნახევრად დავიწროვდა, თბილი ფეხსაცმელი გაიძრო და დაჯ-და. ეხლა ბოხჩას აღარ ჰგავდა. ის იყო პატარა, გამხდარი, შავთვალწარბიანი, 20 წლისა, გველივით წვრილი, გრძელ და თეთრის პირისახისა და ხუჭუჭა თმიანი ქალი. ცხვირი გრძელი და თხელი ჰქონდა, ნიკაპიც გრძელი და თხელი, წარბები გრძელი, პირის კუთხეები ვიწრო, რის გამოც პირი-სახის გამომეტყველება მახვილი ჰქონდა.

შავ-კაბაში გამოწკეპილი, ყელზე და მაჯებზე მრავალ არშიებ-შემოვლებული, წვეტიან-ნიდაყვიანი და გრძელ, ვარ-დის ფერის თითებით, ის ძალიან ჰგავდა საშუალო საუკუნოე-ბის ინგლისელ ქალს. სერიოზიული და დაკვირვებული სახის გამომეტყველება ამ მინამგვანებას უფრო ძრიელ ადიდებდა.

ახლად მოსულმა ოთახს თვალი მიავლ-მოავლო, კაცსა და პატარა ქალს როგორღაც ცერად გადახედა, მხრები აი-შმუშნა და ფანჯარასთან გადაჯდა. დასავლეთის ნესტიან ქა-რისაგან ჩამობნელებული ფანჯრები ზანზარებდნენ. თოვლის მსხვილი ფერფლი ფანჯრებს თეთრ ბამბასავით ედებოდა, მა-გრამ, ქარისგან მოტაცებული, მაშინვე იკარგებოდა. ველური მუსიკა თან-და-თან ძრიელდებოდა.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ პატარა ქალი უცებ შეინძრა და გაჯავრებით, მკაფიოდ წარმოსთქვა:

— ღმერთო! ღმერთო! რა უბედური ვარ! ყველაზე უბედური ვარ!

კაცი წამოდგა და დამნაშავისებურ, ჩქარის ნაბიჯით, რომელიც იმის უშველებელ ტანსა და დიდ წვერს სრულიად არ უდგებოდა, ქალისაკენ წავიდა.

— ჩემო სულიკო, არა გძინავს?—ბოდიშის მოხდის კი-ლოთი ჰკითხა.—მითხარი, რა გინდა?

— არაფერიც არ მინდა! მხარი მტკივა! შენ, მამავ, კარ-გი კაცი არა ხარ, მაგრამ ღმერთი დაგსჯის! აი ნახავ თუ არა!

— ჩემო გვრიტუნი, ვიცი, რომ მხარი გტკივა, მაგრამ მე რა ვქნა, რა გიყო?—ისეთის კილოთი უთხრა კაცმა, რო-მლითაც შექეიფიანებული ქმარი თავის სასტიკ ცოლის წინა-შე ბოდიშს იხდის ხოლმე.—ეგ, ჩემო საშა, გზის ბრალია. ხვალ შინ მივალთ, შევისვენებთ და ტკივილიც გაგივლის.

— ხვალ, ხვალ... ყოველ დღე მეუბნები, ხვალ მივალთო: ჩვენ ესე ოც დღეს კიდევ ვივლით!

— ჩემო სულიკო, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ხვალ მივალთ. არასდროს არ გატყუებ, და თუ ავდარმა დაგვაგვია-ნა, ეს ჩემი ბრალი არ არი.

— მეტის მოთმენა არ შემიძლიან! არ შემიძლიან! არ შემიძლიან!—საშამ ფეხი მკვახეთ გაიქნია და წვრილ-ხმიან და უსიამოვნო ტირილს მოჰყვა.

იმის მამამ ხელი ჩაიქნია და ახლად მოსულ ქალს დაბნევით გადახედა. ქალმა მხრები შეიშმუშვნა და საშასთან გაუბე-დავათ მივიდა.

— ყური დამიგდე, ჩემო კარგო,—უთხრა იმან,—რა სა-ჭიროა ტირილი? მართალია, მხარის ტკივილი კარგი არ არი, მაგრამ აბა, რა ვქნათ?

— აი, საქმე რაშია,—აჩქარებით და თითქო თავის გამარ-თლებით დაიწყო კაცმა;—ორი დღე და ღამე არა გვძინებია და ამასთან საზიზღარ ეტლით მოვდიოდით. ამას შემდეგ რა-საკვირველია, რომ ავად და მოწყენით იყოს. ამის გარდა მთვრალი მეეტლე შეგვხდა, ჩემოდანიც მოგვპარეს... განუწ-ყვეტლივ ქარ-ბუქია... აბა, რა საჭიროა ტირილი? ამ დაჯ-დომილა ძილმა დამღალა და ეხლა მთვრალივით ვარ. ღმერ-თმანი, საშა, უშენოდაც ცუდათა ვარ, ეხლა შენც ტირილი დაიწყე!

კაცმა თავი გაიქნ-გამოიქნია, ხელი ჩაიქნია და დაჯდა.

— ტირილი, რასაკვირველია, საჭირო არ არის,—სთქვა ახალ-მოსულმა.—ტირილი მხოლოდ ძუძუმწოვარა ბავშვებმა იციან. თუ, ჩემო კარგო, ავადა ხარ, უნდა ტანთ გაიხადო და დაწვე... აბა, მოდი, ტანთ გავიხადოთ! როცა პატარა ქალს ტანთ გაჰხადეს და დაამშვიდეს, ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. შავ-გვრიმანი ქალი ფანჯარასთან იჯდა და ოთახს, ხატსა და ფეჩს თითქოს გაკვირვებით სინჯავდა. იმას, როგორც ეტყობოდა, თითქო აკვირვებდა ოთახიც, დიდცხვირა და მოკლე, კაცურ-პერანგიანი ქალიც და იმის მამაც, რომელიც კუთხეში იჯდა, დაბნეულად, მთვრალივით აქეთ-იქით იცქირებოდა და ხელის

დარცხვენილ პირსახედან სჩანდა, რომ ლაპარაკს არ აპირობდა. მაგრამ სიჩუმე პირველად ისევ იმან დაარღვია: მუხლებზე ხელები გადისვა, ჩაახველა, გაიღიმა და სთქვა:

— ღმერთმანი, კომედიაა, რაღა! ვფიქრობ და არა მჯერა: აბა რა საჭირო იყო, რომ ბედმა ამ საძაგელ ტრაქტირში შემოგვყარა? ვითომ ამით რა უნდა ეთქვა? ცხოვრება ზოგჯერ ისეთ ჯამბაზურ ოინებს აკეთებს ხოლმე, რომ კაცი მხოლოდ პირდაღებული უნდა იდგეს და უყუროს. თქვენ, ქალბატონო, შორს მიბრძანდებით?

— არა, შორს არ მივდივარ, — მიუგო შავგრემანმა ქალმა. — ჩვენ მამულიდან მოვდივარ, აქედან ოციოდე ვერსი იქნება; მეორე ჩვენი მამულში, მამასთან და ძმასთან მივდივარ. ჩემი გვარი — ილოვაისკაიაა, ჩვენ სოფელსაც ილოვიცსკაია ჰქვიან; აქედან თორმეტიოდე ვერსი იქნება. საშინელი ამინდია!

— საძაგელია!

კოჭლი ბიჭი შემოვიდა და სანთელი გამოცვალა.

— შენ, ყური მიგდე, სამოვარი რომ დაგედგა, ძალიან კარგს იზამდი. — უთხრა კაცმა.

— ეხლა ჩაის დალევა როგორ შეიძლება! — გაიღიმა კოჭლმა. - წირვამდის ჩაის დალევა ცოდვაა.

— არა გვიშავს რა, ჯოჯოხეთში შენ ხომ არ დაიწვები, ჩვენ დავიწვებით.

ჩაის სმის დროს ახალმა ნაცნობებმა ლაპარაკი გააბეს. ილოვაისკაიამ გაიგო, რომ იმის მოსაუბრეს გრიგორ პეტროვიჩ ლიხარიოვს ეძახიან და იმ ლიხარიოვის ძმა არის, რომელიც ერთ მახლობელ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლია, რომ ერთ დროს თვითონ გრიგორ პეტროვიჩიც მემამულე იყო, მაგრამ „თავისდროზე გაკოტრდა." ლიხარიოვმა გაიგო, რომ ილოვაისკაიას მარია მიხაილოვნას ეძახიან, რომ იმის მამას დიდი მამული აქვს, მაგრამ მამულს თვითონ მარია მიხაილოვნა უვლის, რადგან იმის მამა და ძმა ზარმაცები, უდარდელები არიან და მწევრები მეტის მეტად უყვართ.

— ჩემი მამა და ძმა სოფელში მარტოდ-მარტონი არიან, — ამბობდა ილოვაისკაია და თანაც თითებს აცაცუნებდა (ლაპარაკის დროს თავის მახვილ პირისახის წინ თითების ქნევა და ყოველ ფრაზის შემდეგ მახვილ ენით ტუჩების მოლოკვა ჩვეულებად ჰქონდა). — ისინი, მამაკაცები უდარდელნი არიან და თავინთ თავისთვის თითსაც არ გაანძრევენ. ნეტა ვიცოდე, ვინ გაახსნილებინებს! დედა არა ჰყავთ, მოსამსახურეები კი ისეთები არიან, რომ უჩემოდ ხეირიანად სუფრასაც ვერ გაშლიან. წარმოიდგინეთ იმათი მდგომარეობა! ისინი გაუხსნილებლად დარჩებიან, მე კი მთელი ღამე აქ უნდა ვიჯდე. საკვირველია!

ილოვაისკაიამ მხრები აიშმუშვნა, ჭიქიდან ერთი ყლუპი ჩაი ჩაყლაპა და სთქვა:

— არის ისეთი უქმე დღეები, რომელთაც თავიანთი, საკუთარი, სუნი აქვთ. აღდგომას, ამაღლებასა და შობას ჰაერში რაღაც თავისებური, განსაკუთრებული სუნი ტრიალებს. ეს უქმეები თვით ურწმუნოდაც კი უყვართ. მაგალითად, ჩემი ძმა ყვირის, ღმერთი არ არისო, მაგრამ აღდგომას ცისკარზე პირველად ის მირბის.

ლიხარიოვმა ილოვაისკაიას შეხედა და გაიცინა. ილოვაისკაიამაც გაიცინა.

მ. ა.

(შემდეგი იქნება).




**ბეჯითი სტატისტიკოსი.** — დღეში პურის ჭამის დროს ვღეჭავ 189 ჯერ, მაშასადამე, თვეში 5670 ჯერ, წელიწადში 69174 ჯერ. თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ დღეში ჭამას ვანდომებ 45 წ., აღმოჩნდება, რომ წელიწადში ამისთანა უმნიშვნელო საგანზე ვკარგავ 16470 წუთს.

## ნერვებით ავადმყოფნი ექიმის ოთახში.




— ოო, ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი! ქალები აქაც კი არ იშლიან ყაყანს და ლაზღანდარობას!